ფონდი ოთხმოცდაათი პირველი ფონდი

259

287 1 259

287 1 259

დასკანირებულია 14
16.01.2025

მონრო

იგი იყო გამღვიძებელი ამერიკელთა ნაციონალური თვითშეგნებისა

1816 წელს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტად აირჩიეს ჯეიმს მონრო. ადამიანი, რომელიც ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა ჩადგა ახლადშექმნილი სახელმწიფოს სამსახურში და თავისი ცხოვრება, როგორც პოლიტიკოსისა, სამუდამოდ დაუკავშირა ქვეყნის ბედ-იღბალს.

დამოუკიდებლობისთვის ომის დამთავრების შემდეგ, რომლის დროსაც მონროს მხოლოდ ვიწრო სამხედრო წრეში იცნობდნენ, იგი პოლიტიკურ კარიერას იწყებს.

1782 წლიდან მონრო, შშობლიური შტატის — ვირჯინიის საკანონმდებლო კრების წევრია, შემდგომ დეპუტატი, ბოლოს კი როგორც სენატორი მონაწილეობს კონტინენტო. კონგრესში.

90-იან წლებში იგი ელჩია საფრანგეთში, მაგრამ ვერ იჩენს საკმარის სიმტკიცეს გადაწყვეტილებების მიღებისას და მას უკან იწვევენ სამშობლოში დაბრუნებისას, 1798 წელს მან გამოსცა ნაშრომი, რომელშიც აქვეყნებდა რა დიპლომატიურ დოკუმენტებს, ამართლებდა საკუთარ საქციელს.

გასული საუკუნის დასაწყისში მონროს კვლავ ვირჯინიაში ვხვდებით. იგი ორჯერ გახდა შტატის გუბერნატორი, შეალედში კი კვლავ დიპლომატიურ სამსახურს მიუბრუნდა და იცავდა ქვეყნის ინტერესებს პარიზში, ლონდონსა და მადრიდში. იმავე პერიოდში უნდა აღინიშნოს ის დიდი ღვაწლი, რომელიც მონროს მიუძღვის ევროპელი ქვეყნებისაგან კრედიტის მოპოვებასა და ლუიზიანის შესაძენად დადებულ ხელშეკრულებაში, ეს უკანასკნელი ითვლება ერთ-ერთ უდიდეს ოპერაციად უძრავი ქონების გარიგებათა ისტორიაში.

პრეზიდენტ **მედისონის** ადმინისტრაციაში, იგი სამხედრო სამინისტროს ხელძღვანელობს. ინგლის-ამერიკის ომის **(1812-15)** დროს მონრომ არნახული ძალისხმევა და ენერგია გამოიჩინა, რამაც შეიძლება ითქვას გამარჯვების **.** სასწორი ამერიკელთა მხარეს გადმობარა. ეს ვითარება იყო განმსაზღვრელი იმისა, რომ რამდენიმე ხნის შემდეგ იგი პრეზიდენტად აირჩიეს და ამ მოვალეობას რვა წლის მანძილზე ალასრულებდა.

მონროს მმართველობის პერიოდში კავშირში მიიღეს **ილინოისის, მისისიპისა** და **ალაბამის** შტატები, ხოლო **ესპანეთისგან** ადმინისტრაციამ **ფლორიდა** იყიდა.

პრეზიდენტის განსაკუთრებული ყურადღება მიმართული იყო ქვეყნის საგარეო პოლიტიკისადმი. ამ საკითხმა განსაკუთრებით რელიეფური გამოხატულება ჰპოვა ცნობილ სპრეზიდენტო წერილში კონგრესისადმი — დათარიღებული 1823 წლის 2 დეკემბრით. მისი მთავარი ავტორი გახლდათ სახელმწიფო მდივანი **ჯონ ქუინსი ადამსი** (ქვეყნის მომავალი პრეზიდენტი). წერილში გამოთქმული იყო შემდეგი მოსაზრებანი.

ამერიკის შეერთებული შტატები უველაზეად წინ აღუდგება წმინდა კავშირის (საუბარია ინგლის-ავსტრია-რუსეთის კოალიციაზე) ნებისმიერ ცდას გავრცელოს თავისი მმართველი ხისტები ან გაავლინა იქნიოს სამყაროს დასავლეთ ნაწილში.

ამერიკა დასახლებულია ცივილიზებული ადამიანებით და მას აღარ შეუძლია ემსახუროს ევროპის სახელმწიფოებს კოლონიზაციის სფეროდ.

ისევე როგორც ამერიკის შეერთებული შტატები არ ერევიან ევროპულ ხასელმწიფოთაშორის ომებში, ეს უკანასკნელნიც არ უნდა შეეხონ ამერიკული ქვეყნების ურთიერთობებს. ყოველ ნაბიჯი მიღებული ამ მოთხოვნების საწინააღმდეგოდ ა. შ. შ.-ს მხრიდან აღიქმება, როგორც პირდაპირი გამოწვევა.

ეს მოსაზრებანი და მოთხოვნები პრესასა და კერძო საუბრებში იფარგლება მოკლე ფორმულით — **„ამერიკა—ამერიკელებს!"** და ცნობილია როგორც **„მონროს დოქტრინა"**. მმართველობა, რომელიც ხელმძღვანელობდა ზემოთნახსენები დოქტრინით, არ განიხილავდა მხოლოდ მონროს პრეზიდენტობის პერიოდით. ჩამოთვლილი პრინციპები გახდა ამერიკელთა საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი უმთავრესი მამოძრავებელი ძალა.

ჯეიმს მონრო ისტორიაში შევიდა, როგორც გამღვიძებელი ამერიკელთა ნაციონალური თვითშეგნებისა და მსოფლიო არენაზე ღირსეული ადგილის დამკვიდრებისათვის ერთგულ მებრძოლად. მისი ადმინისტრაციით დასრულდა „ახლო მეგობრების" მმართველობის თითქმის მეოთხედი საუკუნე, ანუ როგორც ფედერალისტები ამბობდნენ, „ვირჯინიული დინასტიისა" (ჯეფერსონი, ჯეფერსონი, მედისონი). მათ მსგავსად მონრო მთელი ცხოვრება იდგა ხალხის სამსახურში და ყოველნაირად ცდილობდა ეხელმძღვანელა ჯეფერსონის დემოკრატიული პრინციპებით.



«Энциклопедический словарь» Брокгауз. Ефрон.

„Tho book of the Presidents"

„Le petit Larousse illustreé"

ვიორგი ჭარაძე

James Monroe

განათლება

მასწავლებელთა თანამდგომი

ალბათ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობამ დაბეჭდა და საქმიანის მაღაზიებში იყიდება უნივერსიტეტში ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მეთოდიკების გაერთიანებული კათედრის დამაარსებლის, საქართველოს რესპუბლიკის დამსახურებული მოღვაწის, პროფესორ აკაკი თოფურიას ცნობილი სახელმძღვანელო — „ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკა (ზოგადი საფუძვლები)“, რომლის მეექვსე გამოცემა სრულიად ახლებურად არის გაანზრებული.

ჩვენს წინაშეა დოგმატური პოლიტიკურ-იდეოლოგიური ნაშრევებისაგან გაწმენდილ-განტვირთული ახალი გამოცემა, რომელმაც უფრო სრულად გამოავლინა ღვაწლმოსილი მეცნიერის ლიტერატურულ-მეთოდიკური შეხედულებათა მწყობრი სისტემა, მისი მთლიანი კრედო.

ცნობილია, რომ ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილების“ რუსულ ენაზე თარგმნა, ცენტრისტული შოვინიზმის მოძალების გამო, გარკვეულ სიძნელეებს აწყდებოდა. ასეთი ტენდენციის ზეგავლენით ჩვენს სკოლებში ერთხანს რამდენადმე შერბილებული იყო მისი მთავარი სულისკვეთების გამოჩენის მოთხოვნა. ამავე დროს, ნაწარმოებში ხომ მე-19 საუკუნის 60-იანი წლების მოწინავე თაობის მთელი სამოქმედო პროგრამა იყო გამოსახული. ამ მოვლენის გათვალისწინებით თავის სახელმძღვანელოს პირველად — 1959 წლის გამოცემიდანვე პროფ. აკ. თოფურია ყოველნაირად ცდილობდა სკოლებში დანერგილიყო „მგზავრის წერილების“ ძირითადი პრობლემატიკის თვალსაჩინოდ გამოკვეთისა და სწავლების ხერხები.

ამ მიზნის მისაღწევად, ნაწარმოებში მწერლის მიერ ჩაქსოვილი ღრმა აზრების ამოსაცნობად იგი შემდეგი თანამიმდევრობით აშუქებდა მის დედააზრს: 1. მეფის რუსეთის ტექნიკური ჩამორჩენილობის მხილება, 2. მეფის რუსეთის ბიუროკრატიული და სამხედრო აპარატის ჩინოვნიკ მოხელეთა გონებრივი შეზღუდულობის ჩვენება, 3. სამშობლოს სიყვარულის, როგორც ადამიანის უმთავრესი ღირძნობის, გამოხატვა (მიზანი: პატრიოტიზმის გაღვივება და გაღრმავება), 4. მოძრაობისა და მოქმედების დასახვა ქვეყნის განახლებისა და სიცოცხლის მომცემ ფაქტორად (მიზანი: ეროვნული ძალების დარაზმვა და კონსოლიდაცია), 5. პროგრამული ეროვნული იდეალის ცხადყოფა.

„მგზავრის წერილების“ პრობლემატიკის კონკრეტიზების აქ მოტანილი ნიმუშის დასასრულს სახელმძღვანელოს ყველა წინა გამოცემაში დასკვნის სახით ნათქვამი იყო: „ასე თანდათან, მტკიცედ და ლოგიკურად შლიდა და ახეთარებდა ილია ჭავჭავაძე ნაწარმოებში მთავარ — თეოდალურულთა მთელი თაობისა და მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის მთელი საზოგადებრივი აზრის დამრაზმავ იდეას“.

ი. ჭავჭავაძის მემკვიდრეობასთან სულიერი ქვეშირის სიმბოლოდ გაისმის წიგნის ახალი გამოცემის 244-ე გვერდზე დასტამბული სიტყვები: „ამ იდეის გამარჯვების ამოგეს წარმოადგენდა 1990 წლის 28 ოქტომბერს ჩატარებული მრავალპარტიული არჩევნები და ეროვნული ძალების დიდი წარმატება“. სწორედ ამ სიტყვებში ერთიანდება საუკუნოვანი ბრძოლის ისტორიული გზა, კლინდება წიგნის ავტორის მთავარი პროფესიონალიზმი და, რაც მთავარია, მოქალაქეობრივი მოვალეობის ღრმად შეგრძნების კიდევ ერთი შთამბეჭდავი მაგალითი.

პროფ. აკ. თოფურია მეცხრე კლასში ძველი ქართული ლიტერატურის სწავლების კონკრეტული საკითხების განხილვისას, იძლევა სრულიად ახალ, საყურადღებო რჩევას, თუ როგორ უნდა იქნეს ქმედითად გამოყენებული ამ კლასში სწავლების პროცესი მოსწავლეთა ქრისტიანული სულისკვეთებით აღზრდისათვის. „ამის ხელსაყრელი პირობა, — შენიშნავს პროფესორი, შექმნილია საქართველოში ეროვნული მოძრაობის გამარჯვების, მრავალპარტიული სისტემით ქვეყნის მართვის, დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისაკენ ლტოლვის აჭაშინდელ გარდამავალ პერიოდში, რომელმაც სავსებით სრული სახელმწიფოებრივი უფლებამოსილების აღდგენამდე, მის მოპოვებამდე და განმტკიცებამდე უნდა მიგვიყვანოს“ (გვ. 259). აქვე გამოხატულია ავტორის თვალსაზრისი ადრე დანაშაულებრივად უკუგდებულ სწავლა-აღზრდის ეკლესიურ წესებზე. ამიერიდან, პროფ. აკ. თოფურიას შეხედულებით, მეტი ინტენსივობით და გაბედულად უნდა ჩაიდგნენ ქრისტიანული რწმენის, კაცთმოყვარეობის, სათნოების, სიკეთისა და სილამაზის გარდნობათა აღზრდის სამსახურში არა მხოლოდ ცალკეული ლიტერატურული პერსონაჟები, არამედ თვით სასულიერო მწერლობის ნიმუშები, მოწამეთა ცხოვრების ამსახველი ნაწარმოებები.

ანვითარებს რა ამ აზრს, პროფ. აკ. თოფურია წერს: „მასწავლებელს ყოველთვის უნდა ახსოვდეს: საკუთარი სინდისის ღმერთთან მიახლოების გარეშე ვერასოდეს გვიშველის ღვთისმეტყველების ფარამარა ძახილი ყველგან და ყოველთვის „ღმერთი არს ჩვენთან“. ღმერთი მაშინ არს ჩვენთან, როცა ჩვენ ვიქნებით მასთან დაწყნარებული სინდისით. აქედან მოსწავლეთა მორალურ-ზნეობრივი აღზრდის დევიზად უნდა იქცეს: ადამიანის მტანჯველი დემონი — უსინდისობაა, მფარველი ანგელოზი — სინდისი“ (იქვე, გვ. 260).

ამ სენტენციურ გამონათქვამს დაფიქრება, დაკვირვება და გაანალების სისტემის ეროვნული კონცეფციის შესაბამისად გონივრული გამოყენება სჭირდება. ამასთან, შემთხვევითი არ უნდა იყოს სახელმძღვანელოში ქართული მეთოდიკური იდეების ჩასახვისა და წარმოშობის შესახებ უძველესი ისტორიული ცნობების პირველად შეტანის ფაქტი. ავტორის გამოკვლევით, იგი დაკავშირებულია საქართველოში ქრისტიანული მოძღვრების პირველი გამავრცელებლის წმინდა ნინოს სახელთან (გვ.12).

წიგნში ქართული ლიტერატურის სწავლების მთელი პროცესი, კერძოდ ილია ჭავჭავაძის მოხოგრაფიული შესწავლის გზა, მის ნაწარმოებთა აღლებური წაკითხვა და გაგება ავტორის მიერ სავსებით სწორად არის მიჩნეული დამოუკიდებელი საქართველოს მომავალი მშენებლის, სრულყოფილი პიროვნების აღზრდისა და მოყალაბების ერთ-ერთ ძლავრ საშუალებად. „ოთარაანთ ქვრივიდან“ კონკრეტული მაგალითების ილუსტრირებით (გვ. 301-302), თანამედროვე ინტერესებიდან გამომდინარე, პროფ. აკ. თოფურია მკაფიოდ გვიჩვენებს, თუ როგორ უნდა წარიმართოს ახლებური სწავლება, მხატვრული ტექსტის ახლებურად წაკითხვა და გააზრება „ადამიანის ადამიანად ქცევის, მასში ადამიანურობის აღდგენის, ადამიანური თვისებების ჩასახვისა და „ჩასახლებისათვის“.

„სარეცენზიო წიგნის პატრიოტული მოვალეობის მიზანია ქართული ენისა და ლიტერატურის მომავალი პედაგოგების გამსჭვალვა ეროვნული იდეალების, ერის სიმტკიცის დაცვის მებრძოლი სულისკვეთებით. იგი მთავრდება სტუდენტთათვის მეტად საგულისხმო სტრიქონებით: „მუდამ უნდა გვახსოვდეს, მშობლიური ლიტერატურა, ისე როგორც მშობლიური ენა, ეროვნულობის ბურჯი და სიძირკველია, ხოლო ამ საგნის მომავალი მასწავლებლები — რესპუბლიკის სკოლების დედაბოძი. პირველის სიმტკიცე, გამძლეობა და უკვდავება ბევრად არის დამოკიდებული მეორის მიერ ერის წინაშე თავისი პასუხისმგებლობის ღრმად შეგნებაზე, მათ სიყვარულზე, საგნისადმი, მათ ცოდნაზე, ამ ცოდნის გამოყენების უნარსა, ფორმებსა და საშუალებებზე“ (გვ. 4442).

ცხადია, ამის მისაღწევად, როგორც წინასიტყვაობაშია აღნიშნული, „სწავლის პერიოდი უნდა იქცეს სტუდენტთა პედაგოგიური წრთობის, საკუთარი თავის შეცნობის, სპეციალობის დაუფლების ნამდვილ ბაზად“.

წიგნი (რედაქტორი პროფ. ჯ. აფციაური) ავტორის ხარჯით ტექნიკურად კარგად არის გამოცემული. მასში რამდენიმე კორექტორული შეცდომის გარდა შეინიშნება უხერხული შესიტყვება. ამასთან, ბოლო გამოცემის შინაარსს, ლირსებებს და მნიშვნელობას, ვფიქრობთ, უფრო მიესადაგებოდა მისი თავფურცლის სახელწოდების ! უფრჩხილებლად გამოტანა გარეკანზე, სახელდობრ, ასეთი სათაურით — „ქართული ლიტერატურის სწავლების ზოგადი საფუძვლები“.

თეთი ჩიჯავაძე
თბილისის სახელმწიფო ორდენიანი სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტი.

„ქართული ენა“, 1991, 18 დეკემბერი, №15

ჯეიმს მონრო

იგი იყო გამღვიძებელი ამერიკელთა ნაციონალური თვითშეგნებისა

1816 წელს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტად აირჩიეს ჯეიმს მონრო. ადამიანი, რომელიც ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა ჩადგა ახლადშექმნილი სახელმწიფოს სამსახურში და თავისი ცხოვრება, როგორც პოლიტიკოსისა, სამუდამოდ დაუკავშირა ქვეყნის ბედ-იღბალს.

დამოუკიდებლობისთვის ომის დამთავრების შემდეგ, რომლის დროსაც მონროს მხოლოდ ვიწრო სამხედრო წრეში იცნობდნენ, იგი პოლიტიკურ კარიერას იწყებს.

1782 წლიდან მონრო, მშობლიური შტატის — ვირჯინიის საკანონმდებლო კრების წევრია, შემდგომ დეპუტატი, ბოლოს კი როგორც სენატორი მონაწილეობს საკონტინენტო კონგრესში.

90-იან წლებში იგი ელჩია საფრანგეთში, მაგრამ ვერ იჩენს სამარის სიმტკიცეს გადაწყვეტილების მიღებისას და მას უკან იწვევენ სამშობლოში დაბრუნებისას, 1798 წელს მან გამოსცა ნაშრომი, რომელშიც აქვეყნებდა რა დიპლომატიურ დოკუმენტებს, ამართლებდა საკუთარ საქციელს

გასული საუკუნის დასაწყისში მონროს კვლავ ვირჯინიაში ვხვდებით. იგი ორჯერ გახდა შტატის გუბერნატორი, შუალედში კი კვლავ დიპლომატიურ სამსახურს მიუბრუნდა და იცავდა ქვეყნის ინტერესებს პარიზში, ლონდონსა და მადრიდში. იმავე პერიოდში უნდა აღინიშნოს ის დიდი ღვაწლი, რომელიც მონროს მიუძღვის ევროპელ ქვეყნებისაგან კრედიტის მოპოვებასა და ლუიზიანის შესაძენად დადებულ ხელშეკრულებაში. ეს უკანასკნელი ითვლება ერთ-ერთ უდიდეს ოპერაციად უძრავი ქონების გარიგებათა ისტორიაში.

პრეზიდენტ **მედისონის** ადმინისტრაციაში, იგი სამხედრო სამინისტროს ხელმძღვანელობს. ინგლის-ამერიკის ომის (1812-15) დროს მონრომ არნახული ძალისხმევა და ენერგია გამოიჩინა, რამაც შეიძლება ითქვას გამარჯვების სასწორი ამერიკელთა მხარეს გადმოხარა. ეს ვითარება იყო განმსაზღვრელი იმისა, რომ რამდენიმე ხნის შემდეგ იგი პრეზიდენტად აირჩიეს და ამ მოვალეობას რვა წლის მანძილზე ასრულებდა.

მონროს მმართველობის პერიოდში კავშირში მიიღეს **ილინოისის, მისისიპისა** და **ალაბამას** შტატები, ხოლო **ესპანეთისგან** ადმინისტრაციამ **ფლორიდა** იყიდა.

პრეზიდენტის განსაკუთრებული ყურადღება მიმართული იყო ქვეყნის საგარეო პოლიტიკისადმი. ამ საკითხმა განსაკუთრებით რელიეფური გამოხატულება ჰპოვა ცნობილ საპრეზიდენტო წერილში კონგრესისადმი — დათარიღებული 1823 წლის 2 დეკემბრით. მისი მთავარი ავტორი გახლდათ სახელმწიფო მდივანი **ჯონ ქუინსი ადამსი** (ქვეყნის მომავალი პრეზიდენტი). წერილში გამოთქმული იყო შემდეგი მოსაზრებანი.

ამერიკის შეერთებული შტატები უყელაზეირად წინ აღუდგება წმინდა კავშირის (საუბარია ინგლის-ავსტრია-რუსეთის კოალიციაზე) ნებისმიერ ცდას გაავრცელოს თავისი მმართველი სისტემა ან გაავლენა იქონიოს სამყაროს დასავლეთ ნაწილში.

ამერიკა დასახლებულია ცივილიზებული ადამიანებით და მას ალარ შეუძლია ევროპის ახალ მფლობელებს კოლონიზაციის სფეროდ.

იმავე როგორც ამერიკის შეერთებული შტატები არ ერევიან ევროპულ სახელმწიფოთაშორის ომებში, ეს უკანასკნელნიც არ უნდა შეეხონ ამერიკული ქვეყნების ურთიერთობებს. ყოველი ნაბიჯი მიღებული ამ მოთხოვნების საწინააღმდეგოდ ა. შ. შ.-ს მხრიდან აღიქმება, როგორც პირდაპირი გამოწვევა.

ეს მოსაზრებანი და მოთხოვნები პრესასა და კერძო საუბრებში იფარგლება მოკლე ფორმულით — **„ამერიკა—ამერიკელებს!“** და ცნობილია როგორც **„მონროს დოქტრინა“**. მმართველობა, რომელიც ხელმძღვანელობდა ზემოთნახსენები დოქტრინით, არ განისაზღვრა მხოლოდ მონროს პრეზიდენტობის პერიოდით. ჩამოთვლილი პრინციპები გახდა ამერიკელთა საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი უმთავრესი მამოძრავებელი ძალა.

ჯეიმს მონრო ისტორიაში შევიდა, როგორც გამღვიძებელი ამერიკელთა ნაციონალური თვითშეგნებისა და მსოფლიო არენაზე ღირსეული ადგილის დამკვიდრებისათვის ერთგულ მებრძოლად. მისი ადმინისტრაციით დასრულდა „ახლო მეგობრების“ მმართველობის თითქმის მეოთხედი საუკუნე, ანუ როგორც ფედერალისტები ამბობდნენ, „ვირჯინიული დინასტიისა“ (ვაშინგტონი, ჯეფერსონი, მედისონი). მათ მსგავსად მონრო მთელი ცხოვრება იდგა ხალხის სამსახურში და ყოველნაირად ცდილობდა ეხელმძღვანელა ჯეფერსონის დემოკრატიული პრინციპებით.



«Энциклопедический словарь» Брокгауз. Ефрон.

„Tho book of the Presidents“

„Le petit Larousse illustreé“

ბიორგი შარაძე



განათლება

მასწავლებელთა თანადგომა

ახლახან ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობამ დაბეჭდა და საკითხავის მაღაზიებში იყიდება უნივერსიტეტში ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მეთოდიკების გაერთიანებული კათედრის დამაარსებლის, საქართველოს რესპუბლიკის დამსახურებული მოღვაწის, პროფესორ აკაკი თოფურიას ცნობილი სახელმძღვანელო — „ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკა (ზოგადი საფუძვლები)“, რომლის მეექვსე გამოცემა სრულიად ახლებურად არის გააზრებული.

ჩვენს წინაშეა დოგმატური პოლიტიკურ-იდეოლოგიური ნაშრევებისაგან გაწმენდილ-განტვირთული ახალი გამოცემა, რომელმაც უფრო სრულად გამოაჟღინა დაწყლმოსილი მეცნიერის ლიტერატურულ-მეთოდიკურ შეხედულებათა მწყობრი სისტემა, მისი მთლიანი კრედო.

ცნობილია, რომ ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილების“ რუსულ ენაზე თარგმნა, ცენტრისტული შოვინიზმის შოძალების გამო, გარკვეულ სიძნელეებს აწყდებოდა. ასეთი ტენდენციის ზეგავლენით ჩვენს სკოლებში ერთხანს რამდენიმე შერბილებული ინა მისი მთავარი სულისკვეთების გამოჩენის მოთხოვნა. ამავე დროს, ნაწარმოებში ხომ მე-19 საუკუნის 60-იანი წლების მოწინავე თაობის მთელი სამოქმედო პროგრამა იყო გამოსახული. ამ მოვლენის გათვალისწინებით თავის სახელმძღვანელოს პირველად — 1959 წლის გამოცემიდანვე პროფ. აკ. თოფურია ყოველნაირად ცდილობდა სკოლებში დანერგილიყო „მგზავრის წერილების“ ძირითადი პრობლემატიკის თვალსაჩინოდ გამოკვეთისა და სწავლების ხერხები.

ამ მიზნის მისაღწევად, ნაწარმოებში მწერლის მიერ ჩაქსოვილი ღრმა აზრების ამოსაცნობად იგი შემდეგი თანამიმდევრობით აშუქებდა მის დედააზრს: 1. მეფის რუსეთის ტექნიკური ჩამორჩენილობის მხილება, 2. მეფის რუსეთის ბიუროკრატიული და სამხედრო აპარატის ჩინოვნიკ მოხელეთა გონებრივი შეზღუდულობის ჩვენება, 3. საშობლოს სიყვარულის, როგორც ადამიანის უმძიმესი გრძნობის, გამოხატვა (მიზანი: პატრიოტიზმის გაღვივება და გაღრმავება), 4. მოძრაობისა და მოქმედების დასახვა ქვეყნის განახლებისა და სიცოცხლის მომცემ ფაქტორად (მიზანი: ეროვნული ძალების დარაზმვა და კონსოლიდაცია), 5. პროგრამული ეროვნული იდეალის ცხადყოფა.

„მგზავრის წერილების“ პრობლემატიკის კონკრეტიზების აქ მოტანილი ნიმუშის დასასრულს სახელმძღვანელოს ყველა წინა გამოცემაში დასკვნის სახით ნაოქმევი იყო: „ასე თანდათან, მტკიცედ და ლოგიკურად შლიდა და ანეთარებდა ილია ჭავჭავაძე ნაწარმოებში მთავარ — თეზდაულეთა მთელი თაობისა და მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის მთელი საზოგადოებრივი აზრის დამრაზმავ იდეას“.

ი. ჭავჭავაძის შემოქმედრეობასთან სულიერი ქვეშირის სიმბოლოდ გაისმის წიგნის ახალი გამოცემის 244-ე გვერდზე ჩასმული სიტყვები: „ამ იდეის გამარჯვების პაოგეს წარმოადგენდა 1990 წლის 28 ოქტომბერს ჩატარებული მრავალპარტიული არჩევნები და ეროვნული ძალების დიდი წარმატება“. სწორედ ამ სიტყვებში ერთიანდება საუკუნოვანი ბრძოლის ისტორიული გზა, ვლინდება წიგნის ავტორის მაღალი პროფესიონალიზმი და, რაც მთავარია, მოქალაქეობრივი მოვალეობის ღრმად შეგრძნების კიდევ ერთი შთამაგონებელი მაგალითი.

პროფ. აკ. თოფურია მეცხრე კლასში ძველი ქართული ლიტერატურის სწავლების კონკრეტული საკითხების განხილვისას, იძლევა სრულიად ახალ, საყურადღებო რჩევას, თუ როგორ უნდა იქნეს ქმედითად გამოყენებული ამ კლასში სწავლების პროცესი მოსწავლეთა ქრისტიანული სულისკვეთებით აღზრდისათვის. „ამის ხელსაყრელი პირობა, — შენიშნავს პროფესორი, შექმნილია საქართველოში ეროვნული მოძრაობის გამარჯვების, მრავალპარტიული სისტემით ქვეყნის მართვის, დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისაკენ ლტოლვის აჭეშმარიტებელ გარდამავალ პერიოდში, როდესაც საბოლოოდ სრული სახელმწიფოებრივი უფლებამოსილების აღდგენამდე, მის მოპოვებამდე და განმტკიცებამდე უნდა მოგვიყვანოს“ (გვ. 259). აქვე გამოხატულია ავტორის თვალსაზრისი ადრე დანაშაულებრივად უკუგდებულ სწავლა-აღზრდის კეშმარიტ წესებზე. ამიერიდან, პროფ. აკ. თოფურიას შეხედულებით, მეტი ინტენსივობით და გაბედულად უნდა ჩადგნენ ქრისტიანული რწმენის, კაცთმოყვარეობის, სათნოების, სიკეთისა და სილამაზის გარანობათა აღზრდის სამსახურში არა მხოლოდ ცალკეული ლიტერატურული პერსონაჟები, არამედ თვით სასულიერო მწერლობის ნიმუშები, მოწამეთა ცხოვრების ამსახველი ნაწარმოებები.

ანვითარებს რა ამ აზრს, პროფ. აკ. თოფურია წერს: „მოსწავლებელს ყოველთვის უნდა ახსოვდეს: საკუთარი სინდისის ღმერთთან მიახლების გარეშე ვერასოდეს გვიშველის ღვთისნიერი სიტყვების წარამარა ძახილი ყველგან და ყოველთვის „ღმერთი არს ჩვენთან“. ღმერთი მაშინ არს ჩვენთან, როცა ჩვენ კეკნებით მასთან დაწმენდილი სინდისით. აქედან მოსწავლეთა მორალურ-ზნეობრივი აღზრდის დეკეზად უნდა იქცეს: ადამიანის მტანჯველი დემონი — უსინდისობაა, მფარველი ანგელოზი — სინდისი“ (იქვე, გვ. 260).

ამ სენტენციურ გამონათქვამს დაფიქრება, დაკვირვება და განილების სისტემის ეროვნული კონცეფციის შესაბამისად გონივრული გამოყენება სჭირდება. ამასთან, შემთხვევით არ უნდა იყოს სახელმძღვანელოში ქართული მეთოდიკური იდეების ჩასახვისა და წარმოშობის შესახებ უძველესი ისტორიული ცნობების პირველად შეტანის ფაქტი. ავტორის გამოკვლევით, იგი დაკავშირებულია საქართველოში ქრისტიანული მოძღვრების პირველი გამავრცელებლის წმინდა ნინოს სახელთან (გვ.12).

წიგნში ქართული ლიტერატურის სწავლების მთელი პროცესი, კერძოდ ილია ჭავჭავაძის მონოგრაფიული შესწავლის გზა, მის ნაწარმოებთა ანალებური წაკითხვა და გაგება ავტორის მიერ სავსებით სწორად არის მიჩნეული დამოუკიდებელი საქართველოს მომავალი მშენებლის, სრულყოფილი პიროვნების აღზრდისა და ჩამოყალიბების ერთ-ერთ მძლავრ საშუალებად. „ოთარაანთ ქვრივიდან“ კონკრეტული მაგალითების ილუსტრირებით (გვ. 301-302), თანამედროვე ინტერესებიდან გამომდინარე, პროფ. აკ. თოფურია მკაფიოდ გვიჩვენებს, თუ როგორ უნდა წარმართოს ‘ახლებური სწავლება, მხატვრული ტექსტის ახლებურად წაკითხვა და გააზრება „ადამიანის ადამიანად ქცევის, მასში ადამიანურობის აღდგენის, ადამიანური თვისებების ჩასახვისა და „ჩასახლებისათვის“.

სარეცენზიო წიგნის პატრიოტული შთაგონების მიზანია ქართული ენისა და ლიტერატურის მომავალი პედაგოგების გამსჭვალვა ეროვნული იდეალების, ერის სიმტკიცის დაცვის მებრძოლი სულისკვეთებით. იგი მთავრდება სტუდენტთათვის მეტად საგულისწმო სტრიქონებით: „მუდამ უნდა გვახსოვდეს, მშობლიური ლიტერატურა, ისე როგორც მშობლიური ენა, ეროვნულობის ბურჯი და საძირკველია, ხოლო ამ საგნის მომავალი მასწავლებლები — რესპუბლიკის სკოლების დედაბოძი. პირველის სიმტკიცე, გამძლეობა და უკუდავება ბევრად არის დამოკიდებული მეორის მიერ ერის წინაშე თავისი პასუხისმგებლობის ღრმად შეგნებაზე, მათ სიყვარულზე, საგნისადმი, მათ კოდნაზე, ამ ცოდნის გამოყენების უნარსა, ფორმებსა და საშუალებებზე“ (გვ. 4442).

ცხადია, ამის მისაღწევად, როგორც წინასიტყვაობაშია აღნიშნული, „სწავლის პერიოდი უნდა იქცეს სტუდენტთა პედაგოგიური წრთობის, საკუთარი თავის შეცნობის , სპეციალობის დაუფლების ნამდვილ ბაზად“.

წიგნი (რედაქტორი პროფ. ჯ. აფციაური) ავტორის ხარჯით ტექნიკურად კარგად არის გამოცემული. მასში რამდენიმე კორექტორული შეცდომის გარდა შეინიშნება უხერხული შესიტყვება. ამასთან, ბოლო გამოცემის შინაარსს, ღირსებებს და მნიშვნელობას, ვფიქრობთ, უფრო მიესადაგებოდა მისი თავფურცლის სახელწოდების ! უფრჩხილებად გამოტანა გარეკანზე, სახელდობრ, ასეთი სათაურით — „ქართული ლიტერატურის სწავლების ზოგადი საფუძვლები“.

თეიმურაზ ჩიქობავა
თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტი.